გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 47

2025 წლის 14 მარტი

ქალაქი გორი

გეოგრაფიული ობიექტისთვის ძველი სახელწოდების გადარქმევის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის სიმონ გულედანის ინიციატივა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში არსებული #17 ქუჩის მე-4 ჩიხისთვის ძველი სახელწოდების გადარქმევის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის აფხაზეთში, საბრძოლო მოქმედებაში დაღუპული გიორგი მიხეილის ძე ტლაშაძის სახელის მინიჭების თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის და 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, განიხილოს აღნიშნული ინიციატივა. ამასთან, სახელდების თაობაზე „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2024 წლის 2025 წლის 24 თებერვლის N45 სხდომის ოქმით მიღებული თანხმობის შესაბამისად გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტისდა 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე" ქვეპუნქტის, ასევე, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-4 მუხლის „ე" ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად,

1. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში არსებულ #17 ქუჩის მე-4 ჩიხს ეწოდოს გიორგი ტლაშაძის ჩიხი.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

სიტუაციური გეგმა

გორის რაიონი სოფელი ხიდისთავი



მისამართი	გორის რაიონი სოფელი ხიდისთავი, 17 ქუჩის IV ჩიხი	აარსს "ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თქმის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის სააგენტო"		
ქუჩის დასახელება	17 ქუჩის IV ჩიხი	დირექტორი	გ. ედიშერაშვილი	
ქუჩის სიგრძე	199 მეტრი	შემსრულებელი	ლ. გაგნიძე	418469516
კოორდინატები UTM, WGS84 38N	1 (X - 425954.393 / Y 4649925.926) 2 (X - 426417.679 / Y 4649900.261)			